

2018 წლის იანვრის საერთაშორისო მოგზაურების

შემოსვლების მიმოხილვა და ანალიზი

2018 წლის იანვარი


2018 წლის იანვარში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ 444,241 შეადგინა, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან 14.8%-ია. მთლიანი რაოდენობიდან 24 საათი და მეტი დროით (ტურისტი) 189,476 (+23%) ვიზიტი განხორციელდა, ხოლო ტრანზიტის მიზნით 83,967, დანარჩენი ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობამ 170,798 შეადგინა.

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით

ვიზიტის ტიპი	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
24 საათი და მეტი	154,083	189,476	35,393	23.0%	42.7%
ტრანზიტი	65,333	83,967	18,634	28.5%	18.9%
ერთდღიანი ვიზიტი	167,654	170,798	3,144	1.9%	38.4%
სულ	387,070	444,241	57,171	14.8%	100.0%

საერთაშორისო მოგზაურებს შორის კვლავ მეზობელი ქვეყნები ლიდერობენ, მათზე მთლიანი შემოსვლების 84.7% მოდის. ევროკავშირიდან მოგზაურების რაოდენობა 2.7%-ს შეადგენს.

საერთაშორისო შემოსვლების სტრუქტურა (იანვარი)



იანვარში საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სომხეთიდან დაფიქსირდა 187,152 (+13.7%), რაც მთლიანი საერთაშორისო მოგზაურების 31.2%-ს შეადგენს. შემდეგი არის აზერბაიჯანი 138,500 (+15.7%), თურქეთი 110,915 (+33.4%) და რუსეთი 82,717 (+45.4%) მოგზაურით. არამეზობელი ქვეყნებიდან კი ირანი ლიდერობს 15,350 (+74.1%).

საერთაშორისო შემოსვლებით ტოპ 15 ქვეყანა

N	ქვეყანა	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი %
1	აზერბაიჯანი	115,527	116,503	976	+0.8%	26.2%
2	თურქეთი	79,042	94,959	15,917	+20.1%	21.4%
3	სომხეთი	77,528	93,711	16,183	+20.9%	21.1%
4	რუსეთი	62,075	71,141	9,066	+14.6%	16.0%
5	ირანი	8,091	15,570	7,479	+92.4%	3.5%
6	უკრაინა	10,232	10,497	265	+2.6%	2.4%
7	ინდოეთი	2,565	3,792	1,227	+47.8%	0.9%
8	ისრაელი	1,703	3,006	1,303	+76.5%	0.7%
9	ყაზახეთი	2,271	2,447	176	+7.7%	0.6%
10	ფილიპინები	1,997	2,379	382	+19.1%	0.5%
11	აშშ	1,819	1,935	116	+6.4%	0.4%
12	ბელარუსი	1,125	1,654	529	+47.0%	0.4%
13	გერმანია	1,561	1,561	0	0.0%	0.4%
14	გაერთიანებული სამეფო	1,024	1,340	316	+30.9%	0.3%
15	საუდის არაბეთი	583	1,325	742	+127.3%	0.3%

აღსანიშნავია, რომ 2017-2018 იანვრის თვის მონაცემებით ტოპ 10 ქვეყანაში ცვლილება ძირითადად ქვეყნების პოზიციების გადანაცვლებით არის განპირობებული. უკრაინამ მეხუთე პოზიციიდან მეექვსეზე გადაინაცვლა. ირანმა კი ერთი პოზიციით ზევით გადაინაცვლა და შესაბამისად მეხუთე პოზიცია დაიკავა. ისრაელი აღმოჩნდა ლიდერებში და მერვე პოზიცია დაიკავა. ყაზახეთი და ფილიპინები კი ერთი პოზიციით გაუარესდა და შესაბამისად მეცხრე და მეათე ადგილზე გადავიდა. ათეულის გარეთ დარჩა აშშ.

საერთაშორისო შემოსვლებით ტოპ 10 ქვეყანა - 2017 და 2018 წლის იანვარი

2017: იანვარი ტოპ 10 ქვეყანა	2018: იანვარი ტოპ 10 ქვეყანა
აზერბაიჯანი	აზერბაიჯანი
თურქეთი	თურქეთი
სომხეთი	სომხეთი
რუსეთი	რუსეთი
უკრაინა	ირანი
ირანი	უკრაინა
ინდოეთი	ინდოეთი
ყაზახეთი	ისრაელი
ფილიპინები	ყაზახეთი
ა შ შ	ფილიპინები

2018 წლის იანვარში საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სახმელეთო საზღვრებზე დაფიქსირდა 352,765 (+11.4%), შემდეგ მოდის საჰაერო 84,723 (+30.1%) და სარკინიგზო საზღვრები 3,809 (+25%). ყველაზე ნაკლები რაოდენობა საზღვაო გზით შემოვიდა 2,944 (+29.3%).

საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სახმელეთო გზით აზერბაიჯანიდან შემოვიდა და 110,714 (31.4%) შეადგინა, შემდეგ მოდის სომხეთი 91,006 (25.8%) და თურქეთი 90,129 (25.5%).

საჰაერო გზით საერთაშორისო შემოსვლების ყველაზე დიდი რაოდენობა რუსეთმა აჩვენა 23,004 (27.2%), შემდეგ მოდის ირანი 11,404 (13.5%) და უკრაინა 6,926 (8.2%).

სარკინიგზო გზით შემოსული საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობით გამოირჩეოდნენ აზერბაიჯანი 2,481 (65.1%), სომხეთი 557 (14.6%) და რუსეთი 325 (8.5%).

საზღვაო გზით შემოსული საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა კი თურქეთიდან აღინიშნა და 1,219 (41.4%) შეადგინა, შემდეგ მოდის უკრაინა 677 (23%) და რუსეთი 235 (8%).

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრის ტიპების მიხედვით

ტიპი	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სახმელეთო	316,612	352,765	36,153	+11.4%	79.4%
საჰაერო	65,135	84,723	19,588	+30.1%	19.1%
სარკინიგზო	3,046	3,809	763	+25.0%	0.9%
საზღვაო	2,277	2,944	667	+29.3%	0.7%

საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სარგის სასაზღვრო პუნქტიდან ფიქსირდება 89,655 (+20.3%), შემდეგია წითელი ხიდი 86,108 (-3.8%) და თბილისის აეროპორტი 77,889 (+34.4%).

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სარგი	74,534	89,655	15,121	+20.3%	20.2%
წითელი ხიდი	89,546	86,108	-3,438	-3.8%	19.4%
აეროპორტი თბილისი	57,965	77,889	19,924	+34.4%	17.5%
სადახლო	58,622	75,917	17,295	+29.5%	17.1%
ყაზბეგი	47,454	48,302	848	+1.8%	10.9%
ცოდნა	13,869	14,957	1,088	+7.8%	3.4%
ნინოწმინდა	12,636	13,775	1,139	+9.0%	3.1%
ვალე	5,741	8,985	3,244	+56.5%	2.0%
ვახტანგისი	5,582	5,402	-180	-3.2%	1.2%
კარწახი	3,987	5,195	1,208	+30.3%	1.2%
გუგუთი	4,578	4,427	-151	-3.3%	1.0%
აეროპორტი ქუთაისი	5,953	3,958	-1,995	-33.5%	0.9%
რკინიგზა გარდაბანი	2,110	3,000	890	+42.2%	0.7%
აეროპორტი ბათუმი	1,217	2,876	1,659	+136.3%	0.6%
პორტი ფოთი	1,314	1,512	198	+15.1%	0.3%
პორტი ბათუმი	942	1,286	344	+36.5%	0.3%
რკინიგზა სადახლო	936	809	-127	-13.6%	0.2%
პორტი ყულევი	21	146	125	+595.2%	0.0%
სამთაწყარო	50	25	-25	-50.0%	0.0%
ახკერპი	13	17	4	+30.8%	0.0%

საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის კლების ანალიზი

2018 წლის იანვრის თვის მონაცემებით საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტების რაოდენობა შემცირებულია 48 ქვეყნიდან, რაც ჯამში -1,882-ს შეადგენს. აქედან კლების ყველაზე დიდი მაჩვენებელი ფიქსირდება ოთხი ქვეყნიდან, ჯამში -1,358 (მთლიანი კლების 72.2%).

ქვეყანა	კლება	(%) წილი მთლიან კლებაში
უზბეკეთი	-869	46.2%
ომანი	-242	12.9%
ტაჯიკეთი	-125	6.6%
პალესტინა	-122	6.5%
სხვა	-524	37.8%

საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის ზრდის ანალიზი

2018 წლის იანვრის თვის მონაცემებით საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის ზრდა 111 ქვეყნიდან ფიქსირდება, რაც რაოდენობრივად 59,053-ს შეადგენს. აქედან ზრდის ყველაზე დიდი მაჩვენებელი ფიქსირდება 6 ქვეყნიდან, ჯამში 51,175 (მთლიანი ზრდის 86.7%).

ქვეყანა	ზრდა	(%) წილი მთლიან ზრდაში
სომხეთი	16,183	27.4%
თურქეთი	15,917	27.0%
რუსეთი	9,066	15.4%
ირანი	7,479	12.7%
ისრაელი	1,303	2.2%
ინდოეთი	1,227	2.1%
სხვა	7,878	13.3%


2018 წლის იანვრის მდგომარეობით განხორციელებული მარკეტინგული კამპანიების შედეგად რუსეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ირანიდან და ისრაელიდან საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა სტაბილურად იზრდება. იმ ქვეყნებიდან, სადაც ნაკლებია პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები, საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობის ზრდის ტენდენცია კვლავაც გრძელდება.

ქვეყნის პროფილი

აზერბაიჯანი

2018 წლის იანვარში აზერბაიჯანი პირველ ადგილზეა საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობით. მთლიანმა რიცხვმა 116,503 შეადგინა, ზრდა წინა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +0.8%-ს შეადგენს. გრაფიკზე მოცემულია აზერბაიჯანელი მოგზაურების რაოდენობა ბოლო რვა წლის იანვრის თვის განმავლობაში.

საერთაშორისო შემოსვლები წლების მიხედვით (იანვარი)



2018 წლის იანვარში აზერბაიჯანელი მოგზაურებიდან 24 და მეტი დროით 30,647 (+14.8%) ტურისტი დარჩა, ტრანზიტის მიზნით 32,666 (+36.5%), ხოლო ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობამ 53,190 (-18%) შეადგინა.

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით

აზერბაიჯანი	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
24 საათი და მეტი	26,699	30,647	3,948	+14.8%	26.3%
ტრანზიტი	23,925	32,666	8,741	+36.5%	28.0%
ერთდღიანი ვიზიტი	64,903	53,190	-11,713	-18.0%	45.7%
საერთო რაოდენობა	115,527	116,503	976	+0.8%	100.0%

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით (2013-2016 წწ.)

აზერბაიჯანი	2013	2014	2015	2016	ცვლილება % (2016/2015 წწ)	წილი (2016 წ.)
24 საათი და მეტი	350,352	424,116	428,870	396,480	-7.6%	26.02%
ტრანზიტი	242,564	305,082	348,616	365,960	5.0%	24.02%
ერთდღიანი ვიზიტი	482,941	554,015	615,771	761,263	23.6%	49.96%
საერთო რაოდენობა	1,075,857	1,283,213	1,393,257	1,523,703	9.4%	100.0%

აზერბაიჯანელი მოგზაურების უმრავლესობა საქართველოში შემოსასვლელად სახმელეთო საზღვარს იყენებს 110,714 (-0.4%). დანარჩენ საზღვრის ტიპებზე მოგზაურების შედარებით ნაკლები რაოდენობა ფიქსირდება: საჰაერო 3,238 (+23.2), სარკინიგზო 2,481 (+47.3%) და საზღვაო 70 (-15.7%).

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრის ტიპების მიხედვით

ტიპი	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სახმელეთო	111,132	110,714	- 418	-0.4%	95.03%
საჰაერო	2,628	3,238	610	+23.2%	2.78%
სარკინიგზო	1,684	2,481	797	+47.3%	2.13%
საზღვაო	83	70	- 13	-15.7%	0.06%

აზერბაიჯანელი მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა წითელი ხიდის საშუალებით ეწვია საქართველოს 74,360 (-6.8%), შემდეგ მოდის ცოდნა 12,569 (+9.4%) და სარფი 11,973 (+41.9%). სხვა საზღვრებზე მოგზაურების შედარებით ნაკლები რაოდენობა ფიქსირდება.


საერთაშორისო შემოსვლები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
წითელი ხიდი	79,825	74,360	-5,465	-6.8%	63.83%
ცოდნა	11,493	12,569	1,076	+9.4%	10.79%
სარფი	8,440	11,973	3,533	+41.9%	10.28%
ყაზბეგი	5,717	6,424	707	+12.4%	5.51%
ვახტანგისი	5,225	5,019	-206	-3.9%	4.31%
აეროპორტი თბილისი	2,395	3,065	670	+28.0%	2.63%
რკინიგზა გარდაბანი	1,684	2,481	797	+47.3%	2.13%
ვალე	266	258	-8	-3.0%	0.22%
აეროპორტი ქუთაისი	226	158	-68	-30.1%	0.14%
კარწახი	116	86	-30	-25.9%	0.07%
პორტი ფოთი	45	43	-2	-4.4%	0.04%
პორტი ბათუმი	38	27	-11	-28.9%	0.02%
სამთაწყარო	50	25	-25	-50.0%	0.02%
აეროპორტი ბათუმი	7	15	8	+114.3%	0.01%

თურქეთი

2018 წლის იანვარში თურქეთი მეორე ადგილზეა საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობით. მთლიანმა რიცხვმა 94,959 შეადგინა, ზრდა წინა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20.1%-ს შეადგენს. გრაფიკზე მოცემულია თურქი მოგზაურების რაოდენობა ბოლო რვა წლის იანვრის თვის განმავლობაში.

საერთაშორისო შემოსვლები წლების მიხედვით (იანვარი)



2018 წლის იანვარში თურქი მოგზაურებიდან 24 და მეტი დროით 29,366 (+10.9%) ტურისტი დარჩა, ტრანზიტის მიზნით 5,251 (+63.4%), ხოლო ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობამ 60,342 (+22.3%) შეადგინა.

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით

თურქეთი	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
24 საათი და მეტი	26,471	29,366	2,895	+10.9%	30.9%
ტრანზიტი	3,213	5,251	2,038	+63.4%	5.5%
ერთდღიანი ვიზიტი	49,358	60,342	10,984	+22.3%	63.5%
საერთო რაოდენობა	79,042	94,959	15,917	+20.1%	100.0%

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით (2013-2016 წწ.)

თურქეთი	2013	2014	2015	2016	ცვლილება % (2016/2015 წწ)	წილი (2016 წ.)
24 საათი და მეტი	377,665	395,200	373,296	390,603	4.6%	31.1%
ტრანზიტი	102,527	93,380	76,457	59,196	-22.6%	4.7%
ერთდღიანი ვიზიტი	1,116,946	954,114	941,968	806,762	-14.4%	64.2%
საერთო რაოდენობა	1,597,138	1,442,694	1,391,721	1,256,561	-9.7%	100.0%

მოგზაურების უმრავლესობა საქართველოში შემოსასვლელად სახმელეთო საზღვარს იყენებს 90,129 (+20.2%). დანარჩენ საზღვრის ტიპებზე მოგზაურების შედარებით ნაკლები რაოდენობა ფიქსირდება: საჰაერო 3,583 (+4.2%), საზღვაო 1,219 (+107%) და სარკინიგზო 28 (-12.5%).

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრის ტიპების მიხედვით

ტიპი	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სახმელეთო	74,981	90,129	15,148	+20.2%	94.91%
საჰაერო	3,440	3,583	143	+4.2%	3.77%
საზღვაო	589	1,219	630	+107.0%	1.28%
სარკინიგზო	32	28	-4	-12.5%	0.03%

თურქი მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სარფის საშუალებით ეწვია საქართველოს 72,148 (+16.6%), შემდეგ მოდის ვალე 8,047 (+63.9%) და კარწახი 4,328 (+22.8%). სხვა საზღვრებზე მოგზაურების შედარებით ნაკლები რაოდენობა ფიქსირდება.


საერთაშორისო შემოსვლები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სარფი	61,860	72,148	10,288	+16.6%	75.98%
ვალე	4,910	8,047	3,137	+63.9%	8.47%
კარწახი	3,524	4,328	804	+22.8%	4.56%
წითელი ხიდი	3,463	4,069	606	+17.5%	4.29%
აეროპორტი თბილისი	2,892	2,998	106	+3.7%	3.16%
პორტი ბათუმი	129	649	520	+403.1%	0.68%
ცოდნა	690	592	-98	-14.2%	0.62%
აეროპორტი ბათუმი	501	573	72	+14.4%	0.60%
პორტი ფოთი	451	532	81	+18.0%	0.56%
ყაზბეგი	41	357	316	+770.7%	0.38%
ნინოწმინდა	148	300	152	+102.7%	0.32%
სადახლო	312	269	-43	-13.8%	0.28%
პორტი ყულევი	9	38	29	+322.2%	0.04%
რკინიგზა გარდაბანი	29	27	-2	-6.9%	0.03%
აეროპორტი ქუთაისი	47	12	-35	-74.5%	0.01%
გუგუთი	15	10	-5	-33.3%	0.01%
ვახტანგისი	18	9	-9	-50.0%	0.01%
რკინიგზა სადახლო	3	1	-2	-66.7%	0.00%

სომხეთი

2018 წლის იანვარში სომხეთი მესამე ადგილზეა საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობით. მთლიანმა რიცხვმა 93,711 შეადგინა, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით +20.9%-ს შეადგენს. გრაფიკზე მოცემულია სომეხი მოგზაურების რაოდენობა ბოლო რვა წლის იანვრის თვის განმავლობაში.

საერთაშორისო შემოსვლები წლების მიხედვით (იანვარი)



2018 წლის იანვარში სომეხი მოგზაურებიდან 24 და მეტი დროით 21,382 (+33.8%) ტურისტი დარჩა, ტრანზიტის მიზნით 30,567 (+18.8%), ხოლო ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობამ 41,762 (+16.6%) შეადგინა.

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით

სომხეთი	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
24 საათი და მეტი	15,985	21,382	5,397	+33.8%	22.8%
ტრანზიტი	25,733	30,567	4,834	+18.8%	32.6%
ერთდღიანი ვიზიტი	35,810	41,762	5,952	+16.6%	44.6%
საერთო რაოდენობა	77,528	93,711	16,183	+20.9%	100.0%

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით (2013-2016 წწ.)

სომხეთი	2013	2014	2015	2016	ცვლილება % (2016/2015 წწ.)	წილი (2016 წ.)
24 საათი და მეტი	327,883	348,489	322,704	331,142	2.6%	22.13%
ტრანზიტი	572,330	480,870	654,708	603,717	-7.8%	40.34%
ერთდღიანი ვიზიტი	391,625	496,275	491,476	561,578	14.3%	37.53%
საერთო რაოდენობა	1,291,838	1,325,634	1,468,888	1,496,437	1.9%	100.0%

სომეხი მოგზაურების უმრავლესობა საქართველოში შემოსასვლელად სახმელეთო საზღვარს იყენებს 91,006 (+21.5%). დანარჩენ საზღვრის ტიპებზე მოგზაურების შედარებით ნაკლები რაოდენობა ფიქსირდება: საჰაერო 2,145 (+5.4%), სარკინიგზო 557 (-6.1%) და საზღვაო 3 (-70%).

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრის ტიპების მიხედვით

ტიპი	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სახმელეთო	74,889	91,006	16,117	+21.5%	97.11%
საჰაერო	2,036	2,145	109	+5.4%	2.29%
სარკინიგზო	593	557	-36	-6.1%	0.59%
საზღვაო	10	3	-7	-70.0%	0.00%

სომეხი მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სადახლოს საშუალებით ეწვია საქართველოს 63,256 (+26.6%), შემდეგ მოდის ყაზბეგი 13,231 (+19.1%) და ნინოწმინდა 10,095 (+5.4%). სხვა საზღვრებზე მოგზაურების შედარებით ნაკლები რაოდენობა ფიქსირდება.


საერთაშორისო შემოსვლები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სადახლო	49,961	63,256	13,295	+26.6%	67.50%
ყაზბეგი	11,109	13,231	2,122	+19.1%	14.12%
ნინოწმინდა	9,577	10,095	518	+5.4%	10.77%
გუგუთი	3,661	3,321	-340	-9.3%	3.54%
აეროპორტი თბილისი	1,768	2,006	238	+13.5%	2.14%
სარფი	486	870	384	+79.0%	0.93%
რკინიგზა სადახლო	593	557	-36	-6.1%	0.59%
კარწახი	75	190	115	+153.3%	0.20%
აეროპორტი ქუთაისი	264	132	-132	-50.0%	0.14%
ვალე	7	26	19	+271.4%	0.03%
ახკერპი	13	17	4	+30.8%	0.02%
აეროპორტი ბათუმი	4	7	3	+75.0%	0.01%
პორტი ბათუმი	10	2	-8	-80.0%	0.00%
პორტი ფოთი	0	1	1	-	0.00%

რუსეთი

2018 წლის იანვარში რუსეთი მეოთხე ადგილზეა საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობით. მთლიანმა რიცხვმა 71,141 შეადგინა, ზრდა წინა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 14.6%-ს შეადგენს. გრაფიკზე მოცემულია რუსი მოგზაურების რაოდენობა ბოლო რვა წლის იანვრის თვის განმავლობაში.

საერთაშორისო შემოსვლები წლების მიხედვით (იანვარი)



2018 წლის იანვარში რუსი მოგზაურებიდან 24 და მეტი დროით 46,337 (+20.8%) ტურისტი დარჩა, ტრანზიტის მიზნით 13,524 (+23.7%), ხოლო ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობამ 11,280 (+11.8%) შეადგინა.

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით

რუსეთი	2016: ნოემბერი	2017: ნოემბერი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
24 საათი და მეტი	38,353	46,337	7,984	+20.8%	65.1%
ტრანზიტი	10,934	13,524	2,590	+23.7%	19.0%
ერთდღიანი ვიზიტი	12,788	11,280	-1,508	-11.8%	15.9%
საერთო რაოდენობა	62,075	71,141	9,066	+14.6%	100.0%

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით (2013-2015წწ.)

რუსეთი	2013	2014	2015	2016	ცვლილება % (2016/2015 წწ)	წილი (2016წ.)
24 საათი და მეტი	445,958	503,331	535,553	662,132	23.6%	63.7%
ტრანზიტი	228,709	195,784	277,164	255,732	-7.7%	24.6%
ერთდღიანი ვიზიტი	92,729	112,506	113,427	120,886	6.6%	11.6%
საერთო რაოდენობა	767,396	811,621	926,144	1,038,750	12.2%	100.0%

მოგზაურების უმრავლესობა საქართველოში შემოსასვლელად სახმელეთო საზღვარს იყენებს 47,577 (+6.9%). დანარჩენ საზღვრის ტიპებზე მოგზაურების შედარებით ნაკლები რაოდენობა მოდის: საჰაერო 23,004 (+35.8%), სარკინიგზო 325 (-13.6%) და საზღვაო 235 (-10.3%).

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრის ტიპების მიხედვით

ტიპი	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
სახმელეთო	44,503	47,577	3,074	+6.9%	66.88%
საჰაერო	16,934	23,004	6,070	+35.8%	32.34%
სარკინიგზო	376	325	-51	-13.6%	0.46%
საზღვაო	262	235	-27	-10.3%	0.33%

რუსი მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა ყაზბეგის საშუალებით ეწვია საქართველოს 26,247 (+4.6%), შემდეგ მოდის თბილისის აეროპორტი 21,104 (+32%) და სადახლო 8,262 (+38.7%). სხვა საზღვრებზე მოგზაურების შედარებით ნაკლები რაოდენობა ფიქსირდება.


საერთაშორისო შემოსვლები საზღვრების მიხედვით

საზღვარი	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
ყაზბეგი	27,504	26,247	-1,257	-4.6%	36.89%
აეროპორტი თბილისი	15,983	21,104	5,121	+32.0%	29.67%
სადახლო	5,958	8,262	2,304	+38.7%	11.61%
წითელი ხიდი	4,735	5,710	975	+20.6%	8.03%
ნინოწმინდა	2,751	3,165	414	+15.0%	4.45%
ცოდნა	1,363	1,535	172	+12.6%	2.16%
სარფი	1,080	1,259	179	+16.6%	1.77%
აეროპორტი ბათუმი	316	1,253	937	+296.5%	1.76%
გუგუთი	797	998	201	+25.2%	1.40%
აეროპორტი ქუთაისი	635	647	12	+1.9%	0.91%
ვახტანგისი	270	313	43	+15.9%	0.44%
რკინიგზა გარდაბანი	151	193	42	+27.8%	0.27%
რკინიგზა სადახლო	225	132	-93	-41.3%	0.19%
პორტი ფოთი	150	117	-33	-22.0%	0.16%
პორტი ბათუმი	100	67	-33	-33.0%	0.09%
ვალე	36	54	18	+50.0%	0.08%
პორტი ყულევი	12	51	39	+325.0%	0.07%
კარწახი	9	34	25	+277.8%	0.05%

ევროკავშირის ქვეყნები

2018 წლის იანვარში ევროკავშირის ქვეყნებიდან 12,141 საერთაშორისო მოგზაური დაფიქსირდა. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 13.8%-ს შეადგენს. ევროკავშირის წილი მთლიან შემოსვლებში 2.7%-ია. გრაფიკზე მოცემულია ევროკავშირიდან შემოსული მოგზაურების რაოდენობა ბოლო რვა წლის იანვრის თვის განმავლობაში.

საერთაშორისო შემოსვლები წლების მიხედვით (იანვარი)



2018 წლის იანვარში ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული მოგზაურებიდან 24 და მეტი დროით 10,848 (+11.6%) ტურისტი დარჩა, ტრანზიტის მიზნით 420 (+61.5%), ხოლო ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობამ 183 (+26.5%) შეადგინა.

საერთაშორისო შემოსვლები ვიზიტის ტიპების მიხედვით

ევროკავშირის ქვეყნები	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
24 საათი და მეტი	9,723	10,848	1,125	+11.6%	89.4%
ტრანზიტი	260	420	160	+61.5%	3.5%
ერთდღიანი ვიზიტი	690	873	183	+26.5%	7.2%
საერთო რაოდენობა	10,673	12,141	1,468	+13.8%	100.0%

ევროკავშირიდან შემოსული მოგზაურების უმრავლესობა საჰაერო გზით შემოდის. საჰაერო საზღვარზე ევროკავშირიდან შემოსული მოგზაურების 83.33% მოდის. ყველაზე მცირე რაოდენობა კი საზღვაო (2.4%) და სარკინიგზო ტრანსპორტით შემოდის (0.83%).

საერთაშორისო შემოსვლები საზღვრის ტიპების მიხედვით

საზღვარი	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
საჰაერო	8,826	10,117	1,291	+14.6%	83.33%
სახმელეთო	1,455	1,632	177	+12.2%	13.44%
საზღვაო	314	291	-23	-7.3%	2.40%
სარკინიგზო	78	101	23	+29.5%	0.83%

ევროკავშირიდან შემოსული მოგზაურების უმრავლესობა საქართველოში თბილისის აეროპორტით შემოვიდა (61.02%), შემდეგ მოდის ქუთაისის აეროპორტი (20.25%), სარფის (6.5%) და სადახლოს (3.9%) სასაზღვრო პუნქტი.


საერთაშორისო შემოსვლები საზღვრების მიხედვით

საზღვრის ტიპი	2017: იანვარი	2018: იანვარი	ცვლილება	ცვლილება %	წილი
აეროპორტი თბილისი	5,992	7,408	1,416	23.6%	61.02%
აეროპორტი ქუთაისი	2,711	2,458	-253	-9.3%	20.25%
სარფი	706	789	83	11.8%	6.50%
სადახლო	480	473	-7	-1.5%	3.90%
აეროპორტი ბათუმი	123	251	128	104.1%	2.07%
პორტი ფოთი	176	146	-30	-17.0%	1.20%
პორტი ბათუმი	138	132	-6	-4.3%	1.09%
ნინოწმინდა	46	83	37	80.4%	0.68%
ყაზბეგი	41	74	33	80.5%	0.61%
წითელი ხიდი	68	71	3	4.4%	0.58%
რკინიგზა გარდაბანი	39	64	25	64.1%	0.53%
კარწახი	8	42	34	425.0%	0.35%
ცოდნა	22	42	20	90.9%	0.35%
რკინიგზა სადახლო	39	37	-2	-5.1%	0.30%
ვალე	22	34	12	54.5%	0.28%
ვახტანგისი	35	13	-22	-62.9%	0.11%
პორტი ყულევი	0	13	13	-	0.11%
გუგუთი	27	11	-16	-59.3%	0.09%

განთავსების საშუალებების სტატისტიკა

2018 წლის 31 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბაზაში დარეგისტრირებული განთავსების საშუალებების რაოდენობამ 1,958 შეადგინა, ხოლო საწოლი ადგილების რაოდენობამ 66,078. საწოლი ადგილების რაოდენობის მიხედვით ბაზარზე სასტუმროს ტიპის განთავსების საშუალებები ჭარბობენ, მათი წილი 63%-ს შეადგენს.

განთავსების საშუალებების ტიპების განაწილება საწოლი ადგილების მიხედვით



თბილისი ლიდერია საწოლი ადგილების რაოდენობით, მისი წილი 27.3%-ია.

განთავსების საშუალებების განაწილება რეგიონების მიხედვით

